

სიყვარულის ტრავმა: კორელაცია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან

რუსუდან ბარათაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიაში მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

1.2. განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

რუსუდან ბარათაშვილი

01.02.2016

1.3 აბსტრაქტი

კვლევის მიზნებისათვის სიყვარულის ტრავმას ვუწოდებთ სტრესს და მძაფრ ემოციურ ტკივილს, რომელიც გამოწვეულია საყვარელ ადამიანთან დაშორებით. სიყვარულის ტრავმა განსხვავებული, შფოთვისა თუ დეპრესიაზე დაუყვანადი ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობაა, თუმცა მას შეიძლება ახლდეს და იყოს დამძიმებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა პრობლემებით, მაგალითად - დეპრესიითა და შფოთვითი აშლილობით. (Rosse, 1999). წინამდებარე კვლევა რაოდენობრივი, კორელაციური კვლევაა, რომლის მიზანია შეაფასოს სიყვარულის ტრავმის შესაძლო კორელაცია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან. ლიტერატურა აჩვენებს, რომ სიყვარული და ჯანმრთელობა კავშირშია, თუმცა მწირია კვლევები იმაზე, თუ როგორ გავლენას ახდენს სიყვარულის ტრავმა ფსიქიკური ჯანმრთელობაზე. წინამდებარე კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სიყვარულის ტრავმა კორელირებს პტსა-ს, შფოთვის, დეპრესიას და ისეთ ფსიქოსომატურ სიმპტომებთან როგორებიცაა ძილის პრობლემები, თავის ტკივილი და ჰაერის უკმარისობა. ეს შედეგი ეხმარება ლიტერატურას. კორელაციები აშკარაა, თუმცა იმისათვის, რომ კვლევა განვაზოგადოთ საჭიროა დამატებითი კვლევების წარმოება.

საძიებო სიტყვები: სიყვარული, სიყვარულის ტრავმა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, დეპრესიის სიმპტომები, შფოთვის სიმპტომები, პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობის სიმპტომები, ფსოქოსომატური სიმპტომები.

Abstract

For the research purposes we call Love Trauma stress and emotional pain caused by separation from the beloved person. Love trauma is a very different bio-psychosocial condition from the anxiety and depression, however, it can be accompanied and burdened by the mental health

problems such as depression and anxiety disorder (Rosse 1999). This research is a quantitative, correlational research designed to assess possible correlation between love trauma and mental health problems. The literature shows the possible connection between love and health, however, there are limited research regarding the influence of love trauma on mental health. The presented study concluded that love trauma correlates with PTSD, anxiety, depression symptoms and three psychosomatic symptoms such as sleep problems, headache, shortness of breath. The results resemble the literature review. Although the correlations are obvious, additional studies are needed in order to extrapolate study findings.

Key Words: Love, Love Trauma, Mental health problems, Symptoms of Depression, Symptoms of Anxiety, PTDS Symptoms, Spychosomatic Symptoms

1.4 მადლობა

პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს ქალბატონ ჯანა ჯავახიშვილს ჩემთან ერთად გაწეული შრომისათვის და იმ დროული უკუკავშირისათვის, რომელსაც მაძლევდა. ასევე, ჩვენი პროგრამის ხელმძღვანელს პროფესორ ნინო მახაშვილს, ინსპირაციისა და დახმარებისათვის. GIP-თბილისის თანამშრომელს ქეთი ფილაურს SPSS-ში გაწეული კონსულტაციებისა და იმ რჩევებისათვის, რომელსაც ის ჩემი ნაშრომის ირგვლივ მაძლევდა. და ბოლოს ჩემი ოჯახის წევრებს, და განსაკუთრებით 6 წლის შვილს თეკლას, რომელიც გაგებით ეკიდებოდა ჩემს სამუშაო პროცესს და მეხმარებოდა იმით, რომ მოთმინებით ელოდა როდის მოვრჩებოდი წერას.